სს „საქართველოს ენერგეტიკული ბირჟის“
#11 საერთო კრების მოწვევის შესახებ
გადაწყვეტილება

სს „საქართველოს ენერგეტიკული ბირჟის“ (სენბი, ს/კ 404589432, მის.: საქართველო, თბილისი, ჩუღურეთის რაიონი, კ.ხეთაგუროვის ქ., N36) საერთო კრების 2022 წლის 29 აპრილის #8/2022 საერთო კრების ოქმით დამტკიცებული წესდების (წესდება) მე-12 მუხლის მე-8 პუნქტის, მე-14 მუხლის პირველი პუნქტის „თ“, „ი“ ქვეპუნქტის, ასევე მეწარმეთა შესახებ საქართველოს კანონის 183-ე მუხლის მე-2 პუნქტის, 184-ე მუხლის 1 პუნქტის „თ“ და „ი“ ქვეპუნქტის შესაბამისად

გადაწყდა:

1. მოწვეულ იქნეს საზოგადოების წლიური საერთო კრება **2023 წლის 30 მარტს, 12:00 სთ-ზე,** მისამართზე: საქართველო, თბილისი, 0102, კ.ხეთაგუროვის ქ. #36;

2. **საერთო კრების დღის წესრიგით განისაზღვროს შემდეგნაირად:**
   1. *საქართველოს ენერგეტიკული ბირჟის 2022 წლის საქმიანობისა და აუდირებული ანგარიშის წარდგენა;*
   2. *სამეთვალყურეო საბჭოს წევრების არჩევა;*

3. საერთო კრების სააღრიცხვო დღედ განისაზღვროს 2023 წლის 23 მარტი, გასათვალისწინებელია, რომ საერთო კრებაში მონაწილეობისა და ხმის მიცემის უფლება აქვთ მხოლოდ იმ პირებს, რომლებიც სააღრიცხვო დღეს აქციონერებად ირიცხებიან;
4. საერთო კრება ჩატარდება პირისპირ ან/და ონლაინ (თუ დაემთხვა გადაუდებელი აუცილებლობის მქონე მივლინება ან სხვა გარემოება) ფორმატში, კენჭისყრა ხორციელდება ღია ხმის მიცემის მეშვეობით, საერთო კრების ოქმში აისახება კენჭისყრის შედეგები;
5. საერთო კრების დანიშვნის შესახებ აქციონერებს ეცნობება პირადად, ასევე ელექტრონულ მისამართებზე გაეგზავნებათ კრების მოწვევის შესახებ წინამდებარე გადაწყვეტილება და დღის წესრიგით განსაზღვრული საკითხების გადასაწყვეტად საჭირო მასალები, კერძოდ:
   - ✓ სენბის 2022 წლის საქმიანობის ანგარიში;
   - ✓ სენბის 2022 წლის აუდირებული ანგარიში;
   - ✓ სამეთვალყურეო საბჭოს წევრების პრეტენდენტების სია;
   - ✓ აქციათა რეესტრიდან განახლებული ამონაწერი;
   - ✓ გადაწყვეტილების მიღების პროექტი.

Scanned with CamScanner

6. კანონმდებლობით დადგენილი წესით, გადაწყვეტილება გამოქვეყნდეს პორტალზე არაუგვიანეს 2023 წლის 7 მარტისა

გადაწყვეტილება მიღებულია 23.02.2023

ირინა მილორავა
გენერალური დირექტორი

Scanned with CamScanner

სს „საქართველოს ენერგეტიკული ბირჟა “ (სენბი)
წლიური საერთო კრების ოქმი #11/2022 -სთვის

დღის წესრიგით გათვალისწინებულ საკითხებზე მისაღები გადაწყვეტილების პროექტი

სს „საქართველოს ენერგეტიკული ბირჟის“ (სენბი, ს/კ 404589432, მის.: საქართველო, თბილისი, ჩუღურეთის რაიონი, კ.ხეთაგუროვის ქ., N36) საერთო კრების 2022 წლის 29 აპრილის #8/2022 საერთო კრების ოქმით დამტკიცებული წესდების (წესდება) მე-12 მუხლის მე-8 პუნქტის, მე-14 მუხლის პირველი პუნქტის „თ“, „ი“ ქვეპუნქტის, ასევე მეწარმეთა შესახებ საქართველოს კანონის 183-ე მუხლის მე-2 პუნქტის, 184-ე მუხლის 1 პუნქტის „თ“ და „ი“ ქვეპუნქტის შესაბამისად

გენერალური დირექტორი საერთო კრებას წარუდგენს დღის წესრიგით გათვალისწინებულ საკითხებზე მისაღები გადაწყვეტილების პროექტს, შესაბამისი საფუძვლების მითითებით.

დღის წესრიგი:

1. *საქართველოს ენერგეტიკული ბირჟის 2022 წლის საქმიანობისა და აუდირებული ანგარიშის წარდგენა;*
2. *სამეთვალყურეო საბჭოს წევრების არჩევა.*

გადაწყვეტა

1. **საქართველოს ენერგეტიკული ბირჟის 2022 წლის საქმიანობისა და აუდირებული ანგარიშის წარდგენა;**

აქციონერებს წარედგინოს ინფორმაცია საქართველოს ენერგეტიკული ბირჟის 2022 წლის საქმიანობისა და ფინანსური აუდირებული ანგარიშების დოკუმენტები, აქციონერები გადაწყვეტილებას მიიღებენ წესდების მე-14 მუხლის პირველი პუნქტის „ი“ ქვეპუნქტით განსაზღვრული კომპეტენციის ფარგლებში.

2. **სამეთვალყურეო საბჭოს წევრების არჩევა;**

აქციონერები გადაწყვეტილებას მიიღებენ წესდების მე-14 პუნქტის „თ“ ქვეპუნქტით განსაზღვრული კომპეტენციის ფარგლებში.

Scanned with CamScanner